

E - GOVERNMENT . GE


ს ა ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ო ფ უ რ ც ე ლ ი

ოქტომბერი, 2011 წელი, გამოშვება #9

გამოშვებაში
წაიკითხავთ

საქართველოს შესახებ დეტალური მონაცემები GOOGLE-ის რუკებზე განთავსდა

1 საქართველო
GOOGLE-ის
რუკებზე



Google-ში, საქართველოს ადგილზე ე.წ. თეთრი ლაქა აღარ არის. უპრეცედენტო საძიებო სისტემაში საქართველოს შესახებ სივრცობრივი მონაცემები უკვე განთავსდა.

2 ქუთაისში
იუსტიციის სახლი
გაიხსნა

ამერიდან ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია საქართველოს შესახებ დეტალური ინფორმაცია Google Map-ზე მოიძიოს.

2 საქრთაშორისო
სერთიფიცირების
პროგრამა
მონაცემთა
გაცვლის
სააგენტოს
თანამშრომლების
თვის

Google-ის ადმინისტრაციასთან მოლაპარაკებებს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო აწარმოებდა. საჯარო რეესტრში უკვე წელიწადნახევარია გეოგრაფიულ და სივრცობრივ მონაცემებს აგროვებდნენ იმისთვის, რომ მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ საიტზე ჩვენი ქვეყნის შესახებ დეტალური ინფორმაცია განთავსებულიყო. ინფორმაცია დასახლებული პუნქტების, ქუჩების, საავტომობილო გზების, სარკინიგზო მაგისტრალების შესახებ ვებგვერდზე უკვე დევს. ინტერაქტიული რუკის შექმნაზე საჯარო რეესტრის GIS - ჯგუფი აქტიურად მუშაობდა.

3 ტრენინგები და
სემინარი
მონაცემთა
გაცვლის
სააგენტოში


საქართველოდან Google-ის ადმინისტრაციას გაეგზავნა ქვეყნის დეტალური რუკა, სადაც ყველა ინფორმაცია განთავსებული გზების, მთების, მწვერვალების, ბორნების, მდინარეების, სხვა ღირსშესანიშნაობების და სარკინიგზო მაგისტრალების შესახებ. საქართველოს რუკა რომ სრულყოფილი გამოსულიყო, საჯარო რეესტრმა ინფორმაცია გეოგრაფიის ინსტიტუტიდან, სტატისტიკისა და გზების დეპარტამენტიდან, გარემოს დაცვის სამინისტროდან და სხვა უწყებებიდან მიიღო.

3 საჯარო რეესტრის
ახალი
მომსახურება—
ქონების
ვირტუალური
ბირჟა

პოპულარულ საიტზე საქართველოს რუკის განთავსება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ტურიზმის დეპარტამენტისთვის. რუკა ტურისტებს მაქსიმალურად ამომწურავ ინფორმაციას აწვდის გადაადგილების საშუალებებისა და განთავსების ადგილების შესახებ. ელექტრონული რუკის მეშვეობით შესაძლებელია ქუჩების, საინტერესო და ადგილობრივი მნიშვნელობის ობიექტების მარტივად და სწრაფად მოძიება. თითოეულ ობიექტს თან ერთვის სრულყოფილი, სასარგებლო ინფორმაცია, გეოგრაფიული კოორდინატები და ა.შ.

GITI 2011 - მე-4
რეგიონალური
კონფერენცია

რუკის ინსტრუმენტებით ასევე შესაძლებელია სივრცითი ანალიზი, ობიექტებს შორის მანძილის განსაზღვრა, კონკრეტული ადგილის მოახლოება ან დაშორება (ზუმირება).



www.justice.gov.ge



www.house.gov.ge



www.cra.gov.ge



www.napr.gov.ge



www.nbe.gov.ge



www.matsne.gov.ge



www.e-government.ge



www.tbilisi.gov.ge



www.rs.ge



www.mof.ge

ქუთაისში იუსტიციის სახლი გაიხსნა



2011 წლის 4 ოქტემბერს, ქ. ქუთაისში იუსტიციის სახლი გაიხსნა. საზეიმო ღონისძიებას ესწრებოდნენ საქართველოს პრეზიდენტი **მიხეილ სააკაშვილი** და იუსტიციის მინისტრი **ზურაბ ადიეშვილი**, საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების, საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის, აგრეთვე - საერთაშორისო ორგანიზაციებისა და მედიის წარმომადგენლები, ქ. ქუთაისის მცხოვრებლები.

ქუთაისის იუსტიციის სახლის შენობა, რუსთავის იუსტიციის სახლის მსგავსად, მთლიანად ქართული პროდუქტია - მის არქიტექტურასა და დიზაინზე კომპანია „მაგისტილმა“ იმუშავა, ინტერიერის დიზაინი კი, ბათუმის, რუსთავისა და მესტიის იუსტიციის სახლების მსგავსად, ამერიკულ კომპანია „სენტელს“ ეკუთვნის.

ქუთაისის იუსტიციის სახლშიც, ერთ სივრცეში მომხმარებელს საშუალება ექნება, მიიღოს იუსტიციის სამინისტროს უწყებების 250-ზე მეტი სერვისი, აქვე შესაძლებელი იქნება ენერგეტიკის სამინისტროს სალიცენზიო მომსახურებით სარგებლობაც. ქუთაისის იუსტიციის სახლი პირველი იუსტიციის სახლია საქართველოში, სადაც ერთდროულად რამდენიმე სახელმწიფო უწყების მომსახურება ერთიანდება.

მონაცემთა გაცვლის სააგენტოს თანამშრომლებმა საერთაშორისო სერთიფიცირების პროგრამა წარმატებით გაიარეს



საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტოს ინიციატივითა და ორგანიზაცია საერთაშორისო მრავალმხრივი პარტნიორობა კიბერ დანაშაულის წინააღმდეგ (IMPACT) დაფინანსებით სააგენტოს კომპიუტერულ ინციდენტებზე სწრაფი რეაგირების ჯგუფის (CERT) სპეციალისტებმა ინფორმაციული უსაფრთხოების კურსი გაიარეს და საერთაშორისო არენაზე აღიარებული SANS Institute-ის სერთიფიკატები მიიღეს.

სასერტიფიკაციო კურსი მომზადებულია GIAC – Global Information Assurance Certification-ის მიერ, რომელიც SANS Institute-ის ფარგლებში ატარებს შესაბამის ტრენინგებს.

კურსის მიზანია ინფორმაციული უსაფრთხოების საფუძვლების შესწავლა და იგი მოიცავს ისეთ თემებს, როგორცაა: ინფორმაციული სისტემებისა და ქსელის უსაფრთხოება, რისკების შეფასება, კიბერ-ინციდენტების მონიტორინგი და მათზე რეაგირება, კრიპტოგრაფია, უსაფრთხო კომუნიკაციის პროტოკოლები, უკაბელო კომუნიკაციები და ა.შ..

„მოხარულნი ვართ, რომ ჩვენი სააგენტოს ინფორმაციული უსაფრთხოების მიმართულების თანამშრომლებმა წარმატებით გაიარეს SANS-ის სასერთიფიკაციო კურსი და საერთაშორისო არენაზე აღიარებული სერთიფიკატები მიიღეს. ეს ნიშნავს, რომ ჩვენ გვყავს საერთაშორისო ინსტიტუტების მიერ აღიარებული სპეციალისტები, რომლებიც ფლობენ ყველა იმ საჭირო უნარს, რაც აუცილებელია ინფორმაციული უსაფრთხოების თანამედროვე გამოწვევების საპასუხოდ.“ - **ირაკლი გვენეტაძე**, მონაცემთა გაცვლის სააგენტოს თავმჯდომარე.

SANS-ის შესახებ: სისტემური ადმინისტრირების, აუდიტის, ქსელისა და უსაფრთხოების ინსტიტუტი (SANS - SysAdmin, Audit, Network, Security Institute) 1989 წელს დაარსდა. ინსტიტუტის მიზანია კიბერ უსაფრთხოების სფეროში კვლევითი და საგანმანათლებლო ინიციატივების ორგანიზება. SANS-ის პროგრამებით მსოფლიოს მასშტაბით 165 ათასზე მეტი დარგის პროფესიონალი სარგებლობს. აუდიტორები, ქსელის ადმინისტრატორები თუ ინფორმაციული უსაფრთხოების უფროსი ოფიცრები SANS-ის პროგრამების მეშვეობით უზიარებენ ერთმანეთს საკუთარ გამოცდილებას და ერთობლივად იკვლევენ სხვადასხვა პრობლემების გადაჭრის საშუალებებს. SANS ასევე წარმოადგენს მსოფლიოში უდიდეს, სანდო და აღიარებულ ინსტიტუტის ინფორმაციული უსაფრთხოების საკითხებზე მომუშავე კადრების ტრენინგებისა და სერტიფიცირებისთვის.

ტრენინგები და სემინარი მონაცემთა გაცვლის სააგენტოში

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტოში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განვითარების პროგრამის (UNDP) ფარგლებში ინფორმაციული უსაფრთხოების საკითხებზე ორმა მოწვევულმა ექსპერტმა ტრენინგების კურსი ჩაატარა და დასკვნით სემინარი გაიმართა. პროგრამის პირველი ნაწილის ბოლოს სემინარი წარუძღვა პოლონელი ექსპერტი **მირეკ მაი**, რომელის ინიციატივითაც პოლონეთში ჩამოყალიბდა კომპიუტერულ ინციდენტებზე სწრაფი რეაგირების სამთავრობო ჯგუფი (CERT). მირეკ მაის ასვე აქვს ინფორმაციული უსაფრთხოების საკითხებზე სხვადასხვა ქვეყანაში წარმატებული მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება.

სემინარის მონაწილეებს შორის იყვნენ სხვადასხვა სამთავრობო უწყებების - სამინისტროების, სააგენტოებისა და სხვა სამსახურების თანამშრომლები, რომლებსაც თავიანთ საქმიანობაში უშუალო შეხება აქვთ კრიტიკულ ინფრასტრუქტურასთან, სადაც ინფორმაციული უსაფრთხოების ნორმების დაცვას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს.

„ჩვენი სააგენტოს საქმიანობის ერთ-ერთი მიმართულებაა ინფორმაციული უსაფრთხოების საკითხებზე მუშაობა. ამ მიზნით სააგენტოში უკვე ფუნქციონირებს კომპიუტერულ ინციდენტებზე რეაგირების სწრაფი ჯგუფი CERT საქართველო. დღეს ჩვენი სტუმარია პოლონეთში ანალოგიური სტრუქტურის შემქნელი მირეკ მაი, რომელიც როგორც სააგენტოს თანამშრომლებისთვის, ისე სხვა სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენლებისთვის ატარებს სემინარს ინფორმაციული უსაფრთხოების სხვადასხვა მიმართულებების შესახებ, რაც, ვფიქრობ, კიდევ უფრო აამაღლებს ჩვენს გამოცდილებას ამ მიმართულებით.“ - **ირაკლი ლომიძე**, მონაცემთა გაცვლის სააგენტოს ინფორმაციული უსაფრთხოებისა და პოლიტიკის სამმართველოს უფროსი.

„მოხარული ვარ, რომ გაეროს განვითარების პროგრამის ფარგლებში მომეცა საშუალება ჩამოვსულიყავი საქართველოში და ჩემი გამოცდილება გამეზიარებინა ქართველი კოლეგებისთვის. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტოში უკვე ჩაატარა მნიშვნელოვანი სამუშაო ქვეყანაში ინფორმაციული უსაფრთხოების საერთო პოლიტიკისა და სტანდარტების დანერგვის მხრივ, თუმცა ყოველთვის სასარგებლოა სხვა ქვეყნებში არსებული გამოცდილების გაზიარება სამომავლოდ კიდევ უფრო მეტი განვითარებისთვის.“ - **მირეკ მაი**, ექსპერტი.

პროგრამის მეორე ნაწილი კი ქართული ექსპერტის **დავით ინანეიშვილის** ტრენინგებს დაეთმო. მონაცემთა გაცვლის სააგენტოს ინფორმაციული უსაფრთხოებისა და პოლიტიკის სამმართველოს თანამშრომლებმა მნიშვნელოვანი ინფორმაცია მიიღეს ინფორმაციული უსაფრთხოების თანამედროვე სტანდარტებისა და მენეჯმენტის შესახებ. დავით ინანეიშვილს აღნიშნული მიმართულებით აქვს მრავალწლიანი საერთაშორისო გამოცდილება.

საჯარო რეესტრის ახალი მომსახურება - ქონების ვირტუალური ბირჟა



საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო მოქალაქეებს კიდევ ერთ ახალ სერვისს სთავაზობს. „ქონების ვირტუალური ბირჟა“ - ეს არის ახალი ინტერნეტპორტალი, რომლის საშუალებითაც მომხმარებელს, რომელსაც სურს გაყიდოს, გააქირავოს ან დააგირავოს ქონება, შეუძლია სახლიდან და ოფისიდან გაუსვლელოდ გამოაქვეყნოს განცხადება სრულიად უფასოდ, ვებ-გვერდზე www.eproperty.ge ან www.elisting.ge;

პორტალი „ქონების ვირტუალური ბირჟა“ მოსახერხებელია როგორც ქონების გამყიდველისთვის, ისე მყიდველისთვის.

Georgian IT Innovation Event GITI 2011



Partnerships for Competitiveness, Innovation and Cyber Security

**4th Regional
Georgian Cyber Security and IT Innovation Conference 2011
Georgian IT Innovation Award 2011**

Organizers:

ICT Business Council of Georgia
LEPL Data Exchange Agency of Ministry of Justice of Georgia

November 17-19, 2011
Tbilisi, Georgia

ICT ბიზნეს საბჭო და იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტო 2011 წლის 17-19 ნოემბერს მართავს მე-4 ყოველწლიურ რეგიონალურ ღონისძიებას (კონფერენცია გამოფენა, დაჯილდოება) - ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარება და კიბერ უსაფრთხოება GITI 2011. ღონისძიება ჩატარდება სასტუმროში Courtyard Marriott.

ღონისძიების მიზანია ხელი შეუწყოს რეგიონის საინფორმაციო-ტექნოლოგიურ განვითარებას, თავი მოუყაროს დარგის პროფესიონალებს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან, შექმნას შესაძლებლობა ურთიერთკომუნიკაციისა და იდეების გაცვლისთვის, წარმოაჩინოს ახალი მიმართულებები როგორც საინფორმაციო-ტექნოლოგიური განვითარების ასპექტში, ისე ინფორმაციული უსაფრთხოების მიმართულებით. ღონისძიების დაკვირვებით ნაწილში ასევე გაიმართება დაჯილდოების ცერემონიალი, რომლის დროსაც, სხვადასხვა ნომინაციაში, გამოვლინდებიან საჯარო და კერძო ორგანიზაციები, რომლებმაც მნიშვნელოვანი ტექნოლოგიური პროექტები განაცხადებულა.

ღონისძიების შესახებ დეტალური დამატებითი ინფორმაცია და მონაწილეთა სარეგისტრაციო ფორმები შეგიძლიათ იხილოთ [ბმულზე](#).

იხილეთ ჩვენი საიტები

WWW.DEA.GOV.GE
WWW.E-GOVERNMENT.GE

მონაცემთა გაცვლის
სააგენტო

წმ. ნიკოლოზის/ნ. ჩხეიძის 2
თბილისი 0102, საქართველო
ტელ.: (+995 32) 291 51 40
ელ. ფოსტა: info@dea.gov.ge
www.dea.gov.ge
www.e-government.ge

მონაცემთა გაცვლის
სააგენტო
საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

თუ ხართ ახალი მომხმარებელი ან კვლავ გსურთ საინფორმაციო ფურცლის გამოწერა, გთხოვთ გამოაგზავნოთ ელექტრონული შეტყობინება მისამართზე: info@dea.gov.ge და სათაურში მიუთითოთ "Subscribe" ან დაარეგისტრირდით თქვენი ელექტრონული ფოსტის მისამართი ვებ გვერდზე: www.e-government.ge

თუ არ გსურთ, მონაცემთა გაცვლის სააგენტოს საინფორმაციო ბიულეტენის მიღება, გთხოვთ გამოაგზავნოთ ელექტრონული შეტყობინება მისამართზე: info@dea.gov.ge და სათაურში მიუთითოთ "Unsubscribe".